ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის
მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი:	**ბონდო მამულაშვილი**
საანგარიშო პერიოდი:	01.11.2020 – 01.11.2021
თანამდებობა:	1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-6 მოწვევის საკრებულოს წევრი; 2. ფრაქცია „ქართული ოცნება - ჯანსაღი მომავლისათვის“-ს თავმჯდომარე;
კომისი(ებ)ის დასახელება:	1. საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი 2. საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის წევრი
დროებითი სამუშაო ჯგუფები:	1. სპორტისა და ფიზიკური კულტურის საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე

❖ **საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:**

საკრებულოს სხდომის რაოდენობა: - 24 სხდომა

საკრებულოს სხდომაზე დასწრება: - 22 სხდომა

საკრებულოს ბიუროს სხდომის რაოდენობა: - 23 სხდომა

საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დასწრება: - 21 სხდომა

- **საკრებულოს სხდომებზე მიღებული სამართლებრივი აქტების რაოდენობა:**

  დადგენილება - 57;

  განკარგულება - 190.

- **მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობა:**

  ა) კომისიები:

  - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია:

    ჩატარდა: - 14 სხდომა; დასწრება: - 14 სხდომა

  - სოციალურ საკითხთა კომისია:

    ჩატარდა: - 4 სხდომა; დასწრება: - 4 სხდომა

  ბ) ფრაქცია „ქართული ოცნება - ჯანსაღი მომავლისათვის“

    ჩატარდა: - 2 სხდომა; დასწრება: - 2 სხდომა

  გ) სპორტისა და ფიზიკური კულტურის საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფი

- **ჩართულობა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით მომუშავე სამუშაო ჯგუფებში, კომისიებსა და საბჭოებში**

  1. მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების დროებითი სათათბირო-საკონსულტაციო ჯგუფის წევრი

  2. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრი

  3. ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“-ს სათათბირო-საკონსულტაციო ჯგუფის წევრი

❖ **მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:**

ა) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;

ბ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დამტკიცება;

გ) სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი 2020-2021 წლის ინფრასტრუქტურული პროექტები;

დ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების დამტკიცება;

ე) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების მიზნით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცება და მიწის ნორმატიული ფასის დადგენა.

❖ **საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:**

საკრებულოს წევრის საქმიანობა წარიმართება საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2014 წლის 4 აგვისტოს N1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტით და სხვა ნორმატიული აქტებით.

ფრაქცია „ქართული ოცნება - ჯანსაღი მომავლისათვის“-ს წევრები აქტიურად არიან ჩართულნი ფრაქციის მუშაობაში. განვლილ საანგარიში პერიოდში ჩემს მიერ ჩატარებულ ფრაქციის სხდომაზე ვიმსჯელეთ ფრაქციის პრიორიტეტებზე.

ფრაქცია „ქართული ოცნება - ჯანსაღი მომავლისათვის“-ს პრიორიტეტია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სპორტული მოედნების ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაციის მიზნით ხელშეწყობა, ერთიანი, ჭეშმარიტად დემოკრატიული და სამართლიანი, ეკონომიკურად მდგრადი, სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი, განათლებული საზოგადოების ჩამოყალიბება.

როგორც სპორტისა და ფიზიკური კულტურის საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ ჩავატარე სხდომა, რომელზეც ვიმსჯელეთ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე როგორიცაა მოსახლეობაში და განსაკუთრებით მოზარდ თაობაში ფიზიკური აქტივობისა და განათლების ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დამკვიდრება, მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის პოპულარიზაცია, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება.

როგორც ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი, აქტიურად ვესწრები კომისიის სხდომებს და ვღებულობ მონაწილეობას საკრებულოს მიერ მისაღები გადაწყვეტილებების პროექტების წინასწარ განიხილვაში, საჭიროების შემთხვევაში მივუთითებ მათში შესაბამისი კორექტირების შეტანის თაობაზე.

მოსახლეობასთან შეხვედრები მიმდინარეობდა სისტემატიურად.

თარიღი: 29.10.2021

ხელმოწერა: ბონდო მამულაშვილი